დანართი N1

ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემისათვის ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს ელექტრონულ აუქციონს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალაში ს/კ 88.13.21.303 არსებული 591.0 მიწის ნაკვეთის **სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით,** გადაცემის მიზნით, შემდეგი პირობებით

1.უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გადაცემის ფორმა: ელ. აუქციონი

2.სარგებლობის ვადა: 10 წელი.

3. ქონების სარგებლობის საფასურის გადახდის წესი: წლიური სარგებლობის საფასურის გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველი წლის 10 ივლისამდე - 01 ივლისამდე გადასახდელი თანხის ოდენობით, ხოლო 10 იანვრამდე შესაბამისი წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი თანხის ოდენობით, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

4. აუქციონში გამარჯვებულს გადახდილი „ბე“ ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

იჯარის ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში,

1.მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის დროისა, იჯარის უფლების მქონე სრულად იხდის იმ სახელშეკრულებო წლის სარგებლობის საფასურს, როდესაც მოხდა ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღებით აუქციონის მონაწილე ადასტურებს, რომ გამარჯვების შემთხვევაში სრულად დააკმაყოფილებს გამოცხადებულ სააუქციონო პირობებს.

3. აუქციონში გამარჯვების პირობა: ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭალაში ს/კ 88.13.21.303 არსებული 591.0 მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემამ ხელი უნდა შეუწყოს ონის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას, შესაბამისად, კეთილმოწყობისათვის ჩადებული უნდა იყოს არა ნაკლებ 150 000 ლარის ინვესტიცია, დასახელებული ფასი უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ წლიური სარგებლობის საწყის საფასურს არანაკლებ ერთი ბიჯისა. (ქონება ითვლება სარგებლობაში გადაცემულად ელექტრონულ აუქციონში საბოლოო თანხის შემომთავაზებელ მონაწილეზე).

5. ელექტრონული აუქციონი ჩატარდება ვებგვერდზე www.eauction.ge

6. მიწის ნაკვეთის გადაცემის წესი და იჯარის ვადის გასვლის შედეგები.

6.1 მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება იჯარის ფორმით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, სადაც აღწერილი იქნება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდგომარეობა და მხარეთა შენიშვნები.

6.2 მიწის ნაკვეთის დაბრუნება განხორციელდება ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

	მისამართი	**მიწის ნაკვეთის დანიშნულება**	ს/კ	მიწის ფართობი კვ.მ	წლიური სარგებლობის საწყისი საფასური (ლარი)	ბეს თანხა (ლარი)	ვაჭრობის ბიჯი (ლარი)	იჯარის გადახდის საფასურის პერიოდულობა (ლარი)	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ონის მუნიციპალიტეტი სოფელი ჭალა	არასასოფლო სამეურნეო	88.13.21.303	591	1714	515	100	წელიწადში ორჯერ	